პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ პარასკევი 15 სექტემბერი 1978 წ. □ № 217 (17261) □ ფასი 2 კაპ.

ჩვენს დიად სამშობლოში

მოსკოვი. დედაქალაქის ტრაქტორის ჰიდროაგრეგატების ქარხნიდან ვიეტნამში გადაიზიდა ადრე გაგზავნეს ჰიდროტუმბოები, ოდესლაც ტროპიკულ პირობებში სამუშაოდ არის გათვალისწინებული. მომხმარებელი აქაყოფილია ამ საამქროს მექანიზმების მუშაობით. ამრამად საწარმო მოძმე ქვეყნის მინდვრის წმრომელებისათვის ამზადებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის გათვალისწინებული ჰიდროგანმანაწილებლების დიდ პარტიას.

კოსტა-იარვი (ესტონეთის სსრ), 14 სექტემბერი. დღეს კომუნისტ ე. ვახტის ბრიგადის წევრებს, რომლებიც „ვირუს“ შახტში მუშაობენ, გადაეცათ „სამთო მრეწველობის საპატიო მექანიზატორის“ მოწმობები. ეს კოლექტივი ინიციატორია მოძრაობისა, რომელიც დარგის საწარმოებში გაჩაღდა მეათე ხუთწლედის სამი წლის დავალებათა სრულ კავშირის კონსტიტუციის წლის თავისათვის შესასრულებ ბრიგადამ პირველმა შეასრულა სიტყვა.

კუსტანაი. ოლქის მინდვრის მწარმოელებმა ამ დღეებში პურის მკა დაამთავრეს მესამე მილიონ ჰექტარზე. უკანასკნელ დღეებში მათ ორასი ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე აიღეს მოსავალი. მინდვრებში მუშაობს ოთხი ათასზე მეტი მოსაჭრელის ასაღებ-სატრანსპორტო კომპლექსი, რაზმი და რგოლი.

კუიბიშევი. ოლქის მინდვრებში დაიწყო კარტოფილის მასობრივი აღება. კოლმეურნეობებსა [illegible] კარტოფილ. მიწათმოქმედებმა გადაწყვიტეს წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ სულ ცოტა 122 ათასი ტონა კარტოფილი.

ალმა-ათა. კუსტანაის ოლქში პურის გადაზიდვის დროს საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ს. სკიდანის ბრიგადამ. ნაუოზუმის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „რაზდოლნის“ მძღოლებმა კომბაინებიდან კალოზე მიიტანეს დაახლოებით ათი ათასი ტონა მარცვლეული. დავალებას ორნაბეკარჯერ გადააჭარბეს.

ყველას და თითოეულის საქმე

როგორც ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების ანალიზი ცხადყოფს, სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა უბანზე გაშლილი ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ბრძოლის შედეგად საქართველოს მშრომელებმა თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვეს ს.კ.პ. XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების, მომდევნო პლენუმების დადგენილებების განხორციელების საქმეში. დაძლეულ იქნა წლების განმავლობაში არსებული ჩამორჩენა რესპუბლიკის ეკონომიკაში, ამაღლდა მშრომელთა პოლიტიკური შეგნება და განმტკიცდა მათი რწმენა თავიანთი შრომის შედეგებისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომლის მთელ საქმიანობას საუოველდაფ უდევს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ ს.კ.პ. ცენტრალური კომიტეტის საპროგრამო დადგენილება, თანმიმდევრულად ახორციელებს რესპუბლიკაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესების, სოციალისტური მართლწესრიგის მტკიცედ დაცვისათვის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის ღონისძიებათა მთელ კომპლექსს.

პარტიის ამ კურსს, რომელიც ხანგრძლივი პერიოდისათვის არის გათვალისწინებული, ერთსულოვნად და აქტიურად უჭერს მხარს მთელი ჩვენი საზოგადოებრივობა, თითოეული პატიოსანი მშრომელი.

მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა საგრძნობლად მოადუნეს ყურადღება, სიფხიზლე სამართალდარღვევების და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი.

ქალაქებში ტყიბულში, ჭიათურაში, ქ. თბილისის ლენინისა და საკარხნო რაიონებში, გარდაბნის, მარნეულის, გეგეჭკორის, თელავის, ორჯონიკიძის, ამბროლაურის, ლაგოდეხის და სხვა რაიონებში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები ჯეროვნად არ ითვალისწინებენ პარტიის იმ სახელმძღვანელო მითითებას, რომ უდისციპლინობის, სამართალდარღვევების. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება რაიმე საგანგებო ვითარებით გამოწვეული ღონისძიება, კამპანია არ არის, და რომ იგი ნაკარნახევია საზოგადოების კანონზომიერი განვითარებით, როცა საბჭოთა ადამიანები სულ უფრო მეტად შეიგუნარებელი ხდებიან სოციალისტური ცხოვრების წესისიდამი შეუთავსებელი ქცევის მიმართ.

ამის შედეგად შენელდა პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მუშაობაც, კვლავ თავი წამოყვნეს სხვადასხვა ჯურის საქმოხნებმა, გადამწყვეტი ძვრები არ ჩანს მექრთამეობის, პროტექციონიზმის, სახელმწიფო საკუთრების დატაცების ფაქტებისა და სხვა დანაშაულებრივი შემთხვევების აღმოფხვრის საქმეში.

ყოველად გაუმართლებელია ჩვენი საზოგადოების ინტერესებისათვის მეტად საზიანო ისეთი პრაქტიკა, როცა მთელი რიგი პარტიული კომიტეტები სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას მთელ სამძიმეს და პასუხისგებლობას მთლიანად ადმინისტრაციულ ორგანოებს აკისრებენ. ამ საქმეში, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მეტ ეფექტს იძლევა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოების საზოგადოებრიობის ფართო ფენებთან ურთიერთშეთანხმებული კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება.

პარტიული კომიტეტები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ საბჭოთა ორგანოებისადმი, რომლებიც გულდასმით არ აანალიზებენ თავიანთ რეგიონში არსებულ ვი[illegible] ,,სახ.“ არ აკონტროლებენ აღმასკომებთან არსებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის კომისიებს. ამხანაგური სასამართლოების, საზოგადოებრივი საბჭოების მუშაობას და ქმედითს დახმარებას არ უწევენ მათ.

საზოგადოების დღევანდელი მოთხოვნების დონეზე ვერ დგას ზოგიერთ რაიონში ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა. ხშირია დამნაშავეობის შემთხვევის შესახებ მოსახლეობის სიგნალების წაყრუების, სათანადო ღონისძიებების გაუტარებლობის ფაქტები, დამნაშავეობის დაფარვის შემთხვევები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყურადღება არაერთგზის მიუპყრია იმისადმი, რომ საჭიროა გააქტიუროს ბრძოლა და აამაღლოს მუშაობის შედეგიანობა დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და გახსნისათვის. მაგრამ ამ მიმართულებით გადამწყვეტი ძვრები ჯერ-ჯერობით არ არის.

სერიოზული ნაკლოვანებებია სახალხო სასამართლოების, პროკურატურის ორგანოების მუშაობაშიც, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტად ახორციელებენ საპროკურატურო ზედამხედველობას სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვისადმი, ნაკლებად ეფექტიანია მთელი რიგი პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და იდეოლოგიური მუშაობა ადმინისტრაციული ორგანოების კადრებთან.

ყოველივე ამის შესახებ კიდევ ერთხელ მკაცრად და სამართლიანად ითქვა ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელიც რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის დაცვის საკითხს მიეძღვნა.

სანამუშო სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის დამყარების საქმეში კიდევ უფრო ეფექტიანი, ქმედითი და თანმიმდევრული უნდა გახდეს პარტიულ კომიტეტებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, სამეურნეო ორგანიზაციებთან, შექმნილი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციისა და დისციპლინის განმტკიცების მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობა.

როგორც მიმდინარე წლის ივლისში გამართულ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა, ზოგიერთი სამინისტროს და უწყების ზემოაღნიშნულმა კომისიებმა დღემდე ვერ უზრუნველყვეს მუშაობაში გარდატეხის შეტანა. მასშტაბური, კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრიობის ფართო ფენებთან კონტაქტების დამყარება, რომელიც კომისიის მთელი საქმიანობის მიზნობრივი წარმართვის ერთ-ერთი საფუძველია.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად აღნიშნული კომისიების ეფექტიანი მუშაობისათვის ძირითადი პასუხისმგებლობა თვით მინისტრებს, უწყებათა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ეკისრებათ.

თანმიმდევრული, პრინციპული და უკომპრომისო ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური კანონიერების დამრღვევთა, ყველა ჯურის ანტისაზოგადოებრივი ელემენტებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფო საქმეა.

აქ მაქსიმალური ეფექტის მიღწევა მხოლოდ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ადმინისტრაციული ორგანოების და მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ერთობლივი ბრძოლით შეიძლება და ეს ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ყველგან, გავაფართოოთ და გავაღრმაოთ იგი ყველა რგოლში. სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის, მართლწესრიგისათვის თითოეული ჩვენგანი უნდა ვაგებდეთ პასუხს.

სადღეისო საბრძოლო ამოცანა ის არის, რომ რესპუბლიკის თითოეულ შრომითს კოლექტივში შეექმნათ ისეთი მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება, როცა ყოველი ადამიანი თავის მოვალედ ჩათვლის იშრომოს კეთილსინდისიერად. მაქსიმალური ნაყოფიერებით, სადაც ადგილი არ იქნებათ მუქთახორებს, სახელმწიფო დოვლათის დამტაცებლებს; დისციპლინის დამრღვევებს და მათ წინააღმდეგ ბრძოლა მთელი კოლექტივის ყოველდღიური ცხოვრების ნორმად იქცეს.

ამ ამოცანის განუხრელი შესრულება პარტიის XXV ყრილობის შიერ დასახულ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანათა-წარმატებით განხორციელების საიმედო საწინდარია.

სუთნლედის შრომითი რიტმი

ღირსეული საჩუქარი—სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს!

გეგმის გადამეტებით

სოხუმი. (საკ. კორ.). დამკვრელური წლის განვლილ რვა თვეში მაღალნაყოფიერად იშრომა სოხუმის ქიმიური ქარხნის კოლექტივმა. გეგმით გათვალისწინებული 4.814 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 4.936 ათასი მანეთის პროდუქცია. გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის დავალება.

ჭიათურელებმა დამკვრელური წლის იანვარ-აგვისტოს სახელმწიფო გეგმის შესრულება სამ-ობლოს ვადაზე რვა დღით აღრე უპატაკეს. დარბენილი დღეების ანგარიშში მათ ფავალების გადამეტებთ აჭარმოეს 2 მილიონ 100 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზაცია უყვეს 2 მილიონ 300 ათასი მანეთის პროდუქციას.

შრომაში განსაკუთრებით გამოჩინეს თავი ფ. ბეროვის ეს წარმატება ბევრად განპირობებულ მანგანუმის სამთამადნო კომბინატმა და მისმა საქეთეფუყარი მაღაროთა სამმართველომ, ჩაის ფაბრიკამ, ხორცისა და რძის კომბინატმა და ქალაქის მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ჭიათურელ მშრომელთა ამ წარმატების შესახებ რედაქციას აცნობეს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მარგველაშვილმა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. გოგატიშვილმა.

ტემპი მატულობს

ჭიათურა. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა მნიშვნელოვანი წარმატებებით ეგებებთან ქვეყნის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველ წლისთავს. ამ თარიღის მოახლოების ვალობაზე. აქ დღითიდღე მატულობს შრომის ტემპი.

ჭიათურელებმა დამკვრელური წლის იანვარ-აგვისტოს სახელმწიფო გეგმის შესრულება სამ-ობლოს ვადაზე რვა დღით აღრე უპატაკეს. დარბენილი დღეების ანგარიშში მათ ფავალების გადამეტებთ აჭარმოეს 2 მილიონ 100 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზაცია უყვეს 2 მილიონ 300 ათასი მანეთის პროდუქციას.

შრომაში განსაკუთრებით გამოჩინეს თავი ფ. ბეროვის ეს წარმატება ბევრად განპირობებულ მანგანუმის სამთამადნო კომბინატმა და მისმა საქეთეფუყარი მაღაროთა სამმართველომ, ჩაის ფაბრიკამ, ხორცისა და რძის კომბინატმა და ქალაქის მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ჭიათურელ მშრომელთა ამ წარმატების შესახებ რედაქციას აცნობეს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მარგველაშვილმა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. გოგატიშვილმა.

ხარისხის ნიშნით

ბაბრა. (საკ. კორ.). თავისი ხარისხითა და ლამაზი გაფორმებით გაგრის უალკოჰოლო სასმელებმა ქარხნის პროდუქცია კურორტის დამსვენებელთა და მცხოვრებთა დიდ მოწონებას იმსახურებს. ამეამად ეს კეთილმოწყობილი საწარმო დღეში 45-50 ათას დეკალიტრ სხვადასხვა სახეობის უალკოჰოლო სასმელებს უშვებს, მათ შორის „ლიმონს“, „ფორთოხალს“, „სიტრუს“, „მსხალს“, კარგა ხანია ხარისხის სასერტიფიკატო ნიშანი მიენიჭათ. მოწონებას იმსახურებს აგრეთვე სასმელები „ფეიხოა“, „ტარხუნა“, „დაფნა“.

ამჟამად საწარმოში მთავრდება ახალი დანადგარის დამონტაჟება, რომელიც ორჯერ გაზრდის ქარხნის მწარმოებლობას. მისი დამთავრების შემდეგ ქარხანა დღეში დაახლოებით 100 ათას დეკალიტრ სასმელს გამოუშვებს.

512.000 ტონა ყურძნისათვის!

მცხეთელი მევენახეების სიტყვა

იქნება 9.500 ტონა ყურძენი!

მცხეთის რაიონის მევენახეებმა გადაწყვიტეს შემჭიდროებულ ვადაში, უდანაკარგოდ ჩაატარონ რთველი და **სახელმწიფოს მარანში მიიტანონ 9.500 ტონა ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9.050 ტონისა, აქედან 7.150 ტონა საზოგადოებრივი მეურნეობებიდან, 2.350 ტონა კი — საყარმიდამო ნაკვეთებიდან.**

მცხეთის მევენახეობის საცდელი მეურნეობა სახელმწიფოს მიჰყიდის 3.800 ტონას. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.300 ტონისა, მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობა — 900 ტონას, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა — 650 ტონას, წილკნის ექსპერიმენტული მეურნეობა — 300 ტონას.

მუხრანის სასოფლო საბჭოს მოსახლეობამ ვალდებულება იკისრა სახელმწიფოს მიჰყიდოს საყარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებული 1100 ტონა ყურძენი ნაცვლად 950 ტონისა.

მცხეთელმა მევენახეებმა და მეღვინეებმა შრომითი თანამეგობრობის ხელმეკრუნეს დადეს, რათა ყურძნის მოსავლის აღებისა და გადამუშავების ერთიანი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებით თითოეულ ჰექტარზე უმაღლეს გამოსავლიანობას მიაღწიონ.

რთველსათვის ყოველმხრივ მზად არიან ღვინის ქარხნები. წლეულს მათ დაამონტაჟეს 1.000 ტონა ტევადობის ჭურჭელი.

შედგენილია რთველის გეგმა-გრაფიკი თითოეული ნაკვეთის, მეურნეობისა და რაიონის მიხედვით, რომლის ზუსტი განხორციელებისათვის მობილიზებულია მთელი პარტიულ-სამეურნეო აქტივი.

თითოეულ მეურნეობაში შემუშავებულია სოციალისტური შეჯიბრების პირობები, მატერიალური და მორალური სტიმულირების ღონისძიებები.

ჩვენი მეზერეები რთველს ელიან როგორც თავდადებული შრომის შემჯამებელ ზეიმს.

ა. ბარისაშვილი,
საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი.

რთველი ექობრაქანდა

ფუტკრის შრომისმოყვარული ფუსფუსია „სამტრესტის“ გურჯაანის საწარმოო გაერთიანების — შრომის, მუკუზნის პირველი, მუკუზნის მეორე, ველისციხის, კარდანახის, კაპრეთის, ჭანდარის, გურჯაანის ღვინის ქარხნებში და საკუპაჟე ბაზის საამქროებში. დიდ რთველს დიდი გარჯა სჭირდება და საწარმოო გაერთიანების 1020 მუშაკიც ამ სულისკვეთებით არის განწყობილი დიდი რთველის სამასპინძლოდ.

კახეთში რთველმა პირველად წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონებში შემოაბიჯა, ამჯერად კი გურჯაანელმა ინიციატორებმა ფართოდ გაიღეს მარნის კარი.

ახლა გურჯაანში ყურძენს შეარჩევენ კრეფენ. ღვინის ქარხნებმა შრომის, კალაურის, კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებიდან და ველისციხის კოლმეურნეობის ზვრებიდან უკვე მიიღეს კონდიციური ყურძნის პირველი ტონები. ახლა 1000 ტონამდე ყურძენია ჩაბარებული. სულ მაღლა იწევს მაჭრიანობის მაჩვენებელიც.

დიდი რთველის მასპინძლობის პარალელურად „სამტრესტის“ გურჯაანის საწარმოო გაერთიანებაში (გენერალური დირექტორი — ა. ქოტიაშვილი) მიმდინარეობს შარშანდელი ღვინოების სადეგუსტაციო შემოწმება.

მაშ ასე, გურჯაანში რთველი მობრძანდა. ახალი შრომითი შემართებით შეეგებენ ჯახელა მევენახეები და მეღვინეები რთველს. შრომისმოყვარე მეზერეებს გულთბილი შემოდგომა მეათე ხუთწლედის მესამე დამკვრელური წლის შესაფერის ბარაქას პპირდება.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: რთველი შრომის ხაბჭოთა მეურნეობის მესამე აგროუბანში. ეს უბანი, რომელსაც ვალერიან ძამსაშვილი ხელმძღვანელობს, ხაბჭოთა მეურნეობის მთელი მოხავლის ნახევარს იძლევა.

ე. ეგინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

14 სექტემბერი ● „პრავდის“ ფურცლებზე

ბაკონ-პაკრონის გრძნობა

საბჭოთა ქვეყნის ძლიერების განმტკიცებით, ჩვენი საზოგადოების სასიკეთო საქმეებით ღრმად დაინტერესება ქალაქებისა და სოფლების მილიონობით მშრომელის ორგანულ ნიშან-თვისებად იქცა. საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, რომ ისინი ხალხის კეთილი მატერიალური და სულიერი დოვლათის ერთადერთი შემქმნელები არიან და ამიტომ თავიანთ მოვალეობად ის მიაჩნიათ, რომ იშრომონ საზოგადოების საკეთილდღეოდ კეთილსინდისიერად, მთელი ძალ-ღონის დაძაბვით, ამაღლონ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი.

თავს გრძნობდე ნამდვილ ბატონ-პატრონად, გქონდეს დიდი უფლებები და ამავე დროს მეტი მოვალეობანიც, ნიშნავს გეკისრებოდეს მაღალი პასუხისმგებლობა არა მარტო პირადი შრომის შედეგებისათვის, არამედ კოლექტივის საერთო შრომითი წვლილისათვის, საწარმოს, ქალაქის, რაიონის, ოლქის მიერ გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, ეს ნიშნავს — ვუფრთხილდებოდეთ და ვამრავლებდეთ ხალხის დოვლათს, ეფრიგებლად ვეკოდებოდეთ მფლანგველობას, ყოველგვარ ნაკლს, რომლებიც ჩვენს წინსვლას აფერხებენ. ნათქვამია მოწონავე წერილში „ბატონ-პატრონის გრძნობა“.

გაიმართა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელშიც განიხილა ჩვენი ქვეყნის ოდაქალაქის კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის საკითხი. პლენუმის ანგარიში დაბეჭდილია სათაურით „მშენებლობებს — მწყობრი რიტმი“.

თვეზის მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარების პრობლემაზეა საუბარი წერილში „ცისფერი მინდვრის რეზერვები“.

განყოფილებაში „ტექნიკის სამყარო“ გაზეთი მკითხველს აუწყებს, რომ მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის თანამშრომლებმა რუსთავის მეტალურგიულ და ნოვოლიპეცკის კ. ლიბკნეხტის სახელობის მილსაგალნიკ ქარხნებში დანერგეს საგლინავი დგანის მართვის ავტომატური სისტემები. ამამად სხვა საწარმოებისათვის იქმნება აგრეთვე მილსაგლინავი ავტომატების მართვის ინტეგრირებული სისტემები. გაზეთი ბეჭდავს ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ერთი ჯგუფის სურათს.

მესამე გვერდი მთლიანად მკითხველთა წერილებს ეძღვნება, რომლებშიც გამოთქმული მრავალი საყურადღებო წინადადება. მოსაზრება და კრიტიკული შენიშვნა ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროს ეხება.

ბ. ლვოვ-ანობინი წერილში „ზღაპარი ცოცხლობს“ მკითხველებს აცნობს სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნადეჟდა ნადეჟდინას შემოქმედებით და აღმზრდელობით მუშაობას, მის დიდ წვლილს საბჭოთა ქორეოგრაფიის განვითარებაში.

ПРАВДА

ი. პ. რიაბოვი თბილისში

თბილისში სამ დღეს იმყოფებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ი. პ. რიაბოვი. პირველ დღეს მან იმოგზაურა კახეთში, სადაც ეწვია მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო ხელწარმოებებს, შეხვდა მევენახეებს, ღვინის მრეწველობის მუშაკებს, თელავის, გურჯაანის, ყვარლის რაიონების პარტიულ და საბჭოთა აქტივს.

ამხანაგი ი. პ. რიაბოვი იყო გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის ზვრებში. იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით მიესალმა მევენახეებს, უსურვა ყოველივე საუკეთესო ცხოვრებასა და შრომაში, ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის შედეგებზე, რომელმაც დასახა თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პროგრამა, განსაზღვრა მისი შემდგომი აღმავლობის ძირითადი გზები და კონკრეტული ღონისძიებანი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ნიადაგ უნდა უთმობდნენ ყურადღებას იმ საქმეს, რომ მოამზადონ სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყველა რგოლის კადრები, განსაკუთრებით ინჟინერ მაღალკვალიფიციური მექანიზატორებთა და სპეციალისტებთ, სრულყონ წარმოების დაგეგმვა და შესაყოფა, ფასწარმოქმნა, დაკრედიტება, შრომის ანაზღაურება, რის შედეგადაც საგრძნობლად უმჯობესდება კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობა, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მატერიალური უზრუნველყოფა.

ამხანაგმა ი. პ. რიაბოვმა კოლმეურნეებთან, საბჭოთა მეურნეობების მუშებთან და სოფლის მეურნეობის სხვა მუშაკებთან საუბრისას გამოიკითხა, თუ როგორია ყურძნის დამზადების გეგმის შესრულების პერსპექტივები, რა ღონისძიებანი ხორციელდება ხეტყვისა და სხვა სტიქიური უბედურებათა წინააღმდეგ, დაინტერესდა სარწყავი მიწათმოქმედების, ინდუსტრიული [illegible] ,,[illegible]“ [illegible] ,,[illegible]“ [illegible] ,,[illegible]“

თუ პასუხისმგებლობას პამალეებთ

კრებაზე და კრების შემდეგ

10-10 იყო წითელწყაროს ავტოსატრანსპორტო საწარმოში კრება დამთავრებული-ყო, საუბარი კი მაინც გრძელდებოდა. ძირითადად ავტომძღოლები „ამათობდნენ...

ახლად არჩეულმა პარტბიუროს მდივანმა ზ. ჯამასპიშვილმა მაგიდიდან ქაღალდები აიღო, საქმეღლდეში ჩაიწყო და ერთხელ კიდევ გამოცხადა: ამხანაგებო, კრება დამთავრებულია! ზოგი ისე გაცხარებულიყო, რომ ეს სიტყვები არც კი გაუგონია.

როცა პარტბიუროს მდივანს ეკითხეთ, თუ რაზე დავობდნენ კომუნისტი ავტომძღოლები, ანდა სათქმელი რატომ კრებაზე არ თქვეს მთლიანად, მან გვითხრა: კრებაზედაც ბევრი ეიმსჯელეთ, მაგრამ, ჩანს, საბოლოო აზრი მაინც ვერ ჩამოყალიბდაო.

საქმე ის არის, რომ ავტოსატრანსპორტო საწარმომ წლეულს მხოლოდ აგვისტოში შეასრულა დავალება. ერთნი ამტკიცებდნენ, ეს საჭართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დახმარების შედეგია, რომელმაც ხუთი ახალი ავტოთვითმცლელი გამოგვიყოო, მეორენი კი დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ ეს მოხდა კოლექტივის ერთიანი მოწადინებით, საქმის მოწესრიგებითა და კარგი დისციპლინით. ისინი ასახელებდნენ მძღოლთა გვარებს, რომლებიც წინათ არაკეთილსინდისიერებდნენ დაგალებებს, ახლა კი ზოგმა მათგანმა რეკორდულ მაჩვენებლებსაც მიაღწია. მაგალითად, ვ. ქენქაძემ, ვ. შოშიაშვილმა, რ. კარაპეტიანმა...

— თქვენი შეხედულება როგორია? — შევეკითხეთ პარტბიუროს მდივანს ზ. ჯამასპიშვილს.

— ჯერ კიდევ ივლისში, — თქვა მან, — ჩვენს საწარმოო თათბირზე აღიარებულ: ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ჩვენივე უყურადღებობა, უდისციპლინო მუშაობაა, რომ მთელი პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილონ კომუნისტმა ავტომძღოლებმა. მათ არა მარტო მაგალითი უნდა უჩვენონ სხვებს, არამედ გაიყოლიონ კიდეც.

ამასთანავე საწარმოში მოწესრიგდა აღრიცხვა-ანგარიშგება, სათადარიგო ნაწილებით მომარაგება, მწყობრიდან გამოყვანილი ავტომანქანების აღდგენა და აი შედეგიც... 120 ათასი ტონის ნაცვლად აგვისტოში გადაზიდულია 122.500 ტონა ტვირთი.

— ნამდვილად რომ ასეა, — დაუდასტურა სათადარიგო ნაწილების საწყობის გამგემ ვ. თეთვაძემ, — ამ ბოლო დროს მართლაც რომ გაუმჯობესდა მომარაგება, მანქანების ტექნიკური მომსახურება, თანამშრომლებიც მეტი შეგნებით ეკიდებიან საქმეს...

— ჩვენთან ჯერ კიდევ დაბალია ავტომანქანების რეზონტებისა და ტექმომსახურების ხარისხი, — შეედავა ავტომძღოლი შ. ჯალიაშვილი. — ეს მე კრებაზეც განვაცხადე და შეიძლება ზოგიერთს ეწყინა კიდეც. ვერ მოკაღწეიან ამას, რომ ყველა ავტომანქანას გეგმის მიხედვით თავის დროზე ჩაუტარდეს როგორც პირველი, ისე მეორე ტექმომსახურება. ამასთან ავტოშემკეთებლებს, ზეინკლებს სათანადო შრომის პირობები არა აქვთ შექმნილი, მუშაობა ღია ცის ქვეშ უხდებათ, ეს კი განსაკუთრებით აუტანელია ზამთარში.

— სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ჩვენს საწარმოს არაერთხელ დაუმსახურებია გარდამავალი დროშა, ფულადი ჯილდო. ჩვენ ეს გვეამაყებოდა, ვმუშაობდით ხალისით, მონდომებით, — ჩაერია ლაპარაკში პენსიონერი ავტომძღოლი შ. ბენაშვილი, — მაგრამ ახლა გაციცლებით უკეთესი პირობები გვიქვს. ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენზე, ჩვენს პერსონალურ პასუხისმგებლობაზე. პარტიული ორგანიზაციაც მეტს უნდა გვთხოვდეს, პერიოდულად ისმენდეს ჩვენი კომუნისტების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. ეს არ თქმულა კრებაზე, არც ის ითქვა, რომ ჩვენთან სოციალისტური შეჯიბრება ფორმალური ხასიათისაა, საათანადოდ არ ხდება მოწინავეთა წახალისება, ჩამორჩენილთა გაკიცხვა. არ არის თვალსაჩინოება, მოწინავეთა დაფაზე წლობით არის გამოკრული ერთი და იგივე ადამიანთა ფოტოები, იმათიც კი, ვინც შემდეგ ჩამორჩა.

დიახ, ეს კრების შემდეგ ითქვა. პარტბიუროს მდივანმა ბევრი რამ ჩაინიშნა ბლოკნოტში ამ საუბრიდან: რა თქმა უნდა, მომავალ კრებებზე აქ უფრო კონკრეტულად უნდა იმსჯელონ, განსაკუთრებით სოცშეჯიბრის უკეთ ორგანიზაციის მიზნით.

მაგრამ ამ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც კომუნისტები ი. კოზლოვსკი, გ. მუკადეშვილი, ს. ათაქოური, ი. ბიძინაშვილი პარტიული თუ სამეურნეო საქმიანობის ბევრ საჭირბოროტო, საყურადღებო საკითხს შეეხნენ, გამოთქვეს თავიანთი აზრი, წამოაყენეს წინადადებები. ყველა საკითხი კი, როგორც იტყვიან, ერთ ფოკუსში იყრის თავს, რომ პარტიულმა ბიუროომ მომავალში აამაღლოს მომთხოვნელობა, განამტკიცოს დისციპლინა, კომუნისტთა პასუხისმგებლობა, რომ საწარმოს თითოეული თანამშრომელი განუხრელად ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას.

ყოველივე ეს აისახა საანგარიშო-საარჩევნო კრების დადგენილებაში, იმ განაწესში, რომელსაც ყველა კომუნისტი უნდა ემორჩილებოდეს.

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკუთარი კორ.

სრულვყოთ სოფლად ეკონომიკური ურთიერთობა და სამეურნეო მექანიზმი

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი, ყველა კომუნისტი და პროფესიონალი მეურნეობა ეწონებენ და ერთსულოვნად უმჭირან მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, გულდაჯერებით მუშაობენ პლენუმის მიერ დასახული კომპლექსური პროგრამის განხორციელებისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და ხალხის მზარდი მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილების უზრუნველყოფისათვის.

კიდევ ერთხელ მკაფიოდ ვლინდება პარტიისა და ხალხის ერთიანობა, დასტურდება ახალ კონსტიტუციაში ჩაწერილი სიტყვების ჭეშმარიტება, რომ **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისთვის არსებობს და ხალხს ემსახურება.**

ივლისის პლენუმის დადგენილება და პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება ჭეშმარიტად უდიდესი პოლიტიკური, თეორიული და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის დოკუმენტებია, რომლებიც ახალი ნიშანსვეტია ლენინური აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში. ისინი განასახიერებს პარტიის აგრარულ სტრატეგიას განვითარებული სოციალიზმის პირობებში. პლენუმის გადაწყვეტილებები საბავშვ კონკრეტულ ღონისძიებებს ითვალისწინებს, რომ სოფლის მეურნეობა სოციალისტური ეკონომიკის დიდად განვითარებულ სექტორად გადაიქცეს. პლენუმის გადაწყვეტილებები, ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების დებულებები და დასკვნები აღრმავებს და ამდიდრებს ჩვენს ცოდნას აგრარულ თეორიაზე, ახალი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად ავითარებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას აგრარულ-საგლეხო საკითხზე.

სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ივლისის პლენუმის დოკუმენტების მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი ასახავენ თვისებრივ ცვლილებებს სოფლად ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებასა და სოციალური პროგრესის დაჩქარებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ, რომელმაც დასაბამი მისცა პარტიის ახლანდელ აგრარულ პოლიტიკას, სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მოპოვებულია მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები, რომლებიც ყოველმხრივ დამაჯერებლად იყო გაანალიზებული და დახასიათებული ივლისის პლენუმზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგებსა და „ჯ. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების განხილვისას ორმაგ დაანალიზა სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა, სადაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია 1965 წლის მარტის პლენუმიდან განვლილ წლებში გაწეულ მუშაობას, ღასახი ივლისის პლენუმის დადგენილებისა და ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში მოცემული დასკვნებისა და დასახული ამოცანების განხორციელებისათვის მუშაობის კომპლექსური პროგრამა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოფლად საწარმოო ძალების განვითარებისა და წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის დინამიკური პროცესები მიმდინარეობს. ორმაგ ცვლილებები ხდება სოფლის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. წარმოების მასშტაბის ზრდამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კიდევ უფრო აამაღლა შრომის განსაზოგადოება და გააორმაგა მისი დანაწევრება. ამის შედეგად კიდევ უფრო გაფართოვდა, გართულდა ეკონომიკური კავშირურთიერთობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებს შორის, იხვეშება აგრარული ურთიერთობა და საერთოდ სოფლად ეკონომიკური ურთიერთობა. დღეს ეს ურთიერთობა სოფლად უფრო ფართო შინაარსის მომცველია, ვიდრე აგრარული ურთიერთობა.

როგორც ვიცით, სოციალისტური აგრარული ურთიერთობისათვის დამახასიათებელია: წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების ორი ფორმის არსებობა, სადაც მთავარ როლს სახელმწიფო საკუთრების საწარმოები ასრულებენ, ხოლო კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა უმრავლესობას შეადგენენ; სოფლის მეურნეობაში კვლავწარმოების ეკონომიკური პროცესი გადახლართულია კვლავწარმოების ბუნებრივ პროცესთან, მიწა ტერიტორიულად შეზღუდულია და თავისუფლად არ იყენებენ წარმოება, არსებობს კოლმეურნეობათა თავისებური მონოპოლია მიწაზე როგორც მეურნეობის ობიექტზე, რაც საკუთრების ორი ფორმისა და სასაქონლო ფულადი ურთიერთობის არსებობის პირობებში წარმოშობს სარეცხო ურთიერთობას, რომელიც სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს შორის ყალიბდება მიწის ბუნებრივი და ეკონომიკური ნაყოფიერების შედეგად მიღებული დამატებითი წმინდა შემოსავლის წარმოებისა და განაწილების დარგში.

ამიტომაც სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია და აგროსამრეწველო კომპლექსები აფართოებენ ეკონომიკური ურთიერთობის ეკონომიკური როგორც ვიცით, აგროსამრეწველო კომპლექსი სახალხო მეურნეობის მასშტაბით მოიცავს: სოფლის მეურნეობას მთლიანად, მრეწველობის იმ დარგებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას აწვდიან წარმოების საშუალებებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ მრეწველობას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამასალებელ და სხვა დარგებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას ემსახურებიან. არსებობს მჭიდრო, უშუალო კავშირურთიერთობა, საქმიანობის ურთიერთგაცვლა, რომელიც აგრარულ ურთიერთობასთან ერთად დღეს სოფლად ეკონომიკური ურთიერთობის სფეროს მიეკუთვნება.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა სოფლისადმი ქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა შეფობაა. კაპიტალიზმის პირობებში ქალაქი ექსპლოატაციას უწევს სოფელს, სოციალიზმის დროს კი ქალაქი ყოველთვის მეგობრული დახმარების ხელს უწვდის მას. საშეფო მუშაობა სულ უფრო ღრმად მკვიდრდება ჩვენს ქვეყანაში, ქალაქის საწარმოებსა და ორგანიზაციებს საშეფო ღონისძიებები ჩაეკვეთ თავიანთ მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებში. საშეფო მუშაობა სოფლის მეურნეობის აღმავლობის საერთო პროგრამის შემადგენელი ელემენტი გახდა.

ამრიგად, ახალი შინაარსით ვლინდება სოციალისტური ეკონომიკური თანამშრომლობა, ამხანაგური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმირების გზაზე.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტმა სოფლად მიმდინარე ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროცესების ღრმად შესწავლისა და აგროსამრეწველო გაერთიანებათა მუშაობის განზოგადების სიფუძვლზე 1976 წლის მაისში მიიღო დადგენილება „სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შესახებ“. ამ დადგენილებას მთლიანად დაუჭერეს მხარი პარტიამ, ხალხმა და მიიჩნიეს იგი ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების ახალ ეტაპად. ამჟამად ქვეყანაში უკვე მოქმედებს 8 ათასზე მეტი სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო საწარმო და გაერთიანება. ეს სოფლის ახალი ტიპის საწარმოებია, რომლებიც უკვე იძლევიან დიდად სხვადასხვა პროდუქციისა და მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს.

წლეულს თებერვალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა ყოველმხრივ გააანალიზა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების განხორციელებისათვის რესპუბლიკაში გაწეული მუშაობა, გაითვალისწინა ჩვენი ეკონომიკური ბუნებრივი და ეკონომიკური თავისებურებანი, განსაზღვრა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონალური სპეციალიზაცია და დასახა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის და აგროსამრეწველო გაერთიანებათა ორგანიზაციის კონკრეტული გზები და ფორმები. ამ მოკლე დრომდე, როგორც ეს აღინიშნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმზე, განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში ყველგან ხაზგასმულია, რომ სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია და აგროსამრეწველო ინტეგრაცია დიდი და ფართო ობიექტური პროცესია, არ შეიძლება მისი დაჩქარება ისევე, როგორც არ შეიძლება მისი შეფერხება. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს გეგმაზომიერად, მოფიქრებულად, ნებაყოფლობით. ამ საქმის თვითდინებაზე მიუთითა შეეუწყნარებელია.

ამის გამო ლ. ი. ბრეჟნევმა ივლისის პლენუმზე სხარტად თქვა, რომ „ნებაყოფლობა და თვითდინება ღვიძლი ძმები კი არა, ანტიპოდები არიან“. პლენუმმა აღნიშნა, რომ სერიოზული დამუშავება საჭიროებს სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხი. უკეთესი ორგანიზაციული ფორმების შერჩევის საკითხს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და მიმართულებისათვის.

აგროსამრეწველო გაერთიანებები არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, არამედ სოფლად ეკონომიკური ურთიერთობის დაჩქარებისა და სოციალური პროგრესის დაჩქარების რეალური გზაა. ჯერ ერთი, ადგ უზრუნველყოფს მოსახლეობის სოფლად დასაქმებას წლის განმავლობაში და ამით კიდევ უფრო გადიდდება მისი შემოსავალი. მეორე: აქ ყალიბდება ერთიანი სამრეწველო სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები, სადაც ერთად მუშაობენ მეშვები და კოლმეურნეები. სოფლის მშრომელები თანდათან ეჩვევიან შრომის სამრეწველო ორგანიზაციასა და ნაყოფიერებას, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გადაქცევის გზაზე; მესამე: აქ უფროსად ერთ საწარმოო პროცესში ხორციელდება მუშებსა და გლეხებს შორის ადგილი. ამ ორი კლასის კავშირის ტრადიციულ ფორმებს ემატება მათ შორის საწარმოო კავშირის ახალი, უფრო სრულყოფილი ფორმა, მეოთხე: აგროსამრეწველო გაერთიანებებში ხდება მუშებისა და კოლმეურნეების ერთნაირი აღჭურვა წარმოების საშუალებებით, მათი მფლობელობისა და გამოყენების სრულყოფა იწვევს იმას, რომ ისინი თანდათან აღწევენ თანაბარ მდგომარეობას წარმოების სისტემაში; მეხუთე: ეს გაერთიანებები წარმოებითი ურთიერთობის ფუნქციონირების ახალი სფეროა, ყალიბდება ურთიერთობა სახელმწიფოსა და ინტეგრირებულ მეურნეობებს შორის, თვით აგროსამრეწველო გაერთიანებებს შორის სასოფლო და სამრეწველო თანდათან ეჩვევიან შრომის სამრეწველო ორგანიზაციასა და ნაყოფიერებას, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიულ ტერიტორიულ საწარმოებად, ოლქებს, რაიონებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეუნდა დაეუწესდეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესაყიდვის ერთიანი დაბაზები, მაგრამ რიალური ხუთწლიანი გეგმა ცალკეული წლების მიხედვით. პლენუმმა მოითხოვა მეურნეობის სტიმულირების სისტემის გაუმჯობესება, განსაკუთრებით, იმ მეურნეობებისათვის, რომლებიც მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში. საჭიროა აგრთვე შემუშავდეს დამატებითი ღონისძიებანი, რათა ეაძლიერდეს კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მატერიალური წახალისების კავშირი მათი შრომის შედეგებთან, საწარმოო ფონდებისა და მატერიალური რესურსების ეფექტიან გამოყენებასთან.

ივლისის პლენუმმა გაამახვილა ყურადღება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის ისეთ საკითხებზე, როგორიც არის სამეურნეო ანგარიშის დანერგვის გამოცდილება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასწარმოქმნა, ტრანსპორტი. სოფლისადმი მოწოდებული სამრეწველო პროდუქტების ფასები, სოფლტექნიკის მომსახურება ანაზღაურება და სხვა. საჭიროა ყველა ამ საკითხი რიგიანად გავერკვეთ, ღრმად ჩავწვდეთ მათ და გადაწყვეტოთ ისინი სოფლის მეურნეობის განვითარების დასაჩქარებლად.

სწორედ სოფლის მეურნეობისათვის პარტიის მეურნეობელი ლენინური ზრუნვის გამომსახველია მიღებული დადგენილება, რომ 1979 წლის 1 იანვრიდან საცალო ფასების შეუცვლელად გაიზარდოს რძის, მატყლის, ცხვრის ხორცის, კარტოფილის, ცალკეული სახეობათა ბოსტნეულის შესასყიდი ფასები. ეს უზრუნველყოფს ამ პროდუქციის რენტაბელურ წარმოებას. კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა რომ განმტკიცდეს, ამიტომ საშემოსავლო გადასახადებისაგან გათავისუფლდებიან კოლმეურნეობები, რომელთა რენტაბელობა 25 პროცენტზე ნაკლებია (ამჟამად საამისოდ დადგენილია 15 პროცენტი), საბჭოთა მეურნეობები, რომლებსაც სტიქიური უბედურებისაგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყოთ სასესხენი მილიარდი მანეთის ოდენობით. გარდა ამისა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჩამოეწერებათ სახელმწიფო ბანკის სესხის დავალიანება 7 მილიარდ 300 მილიონი მანეთის ოდენობით და 4 მილიარდი მანეთი კრედიტის დაფარვა გადაუვადდებათ 12 წლით. უნდა ეიკარაუდოთ, რომ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები სახელმწიფოს ამ დამატებით ხარჯებს ანაზღაურებენ იმით, რომ ძალ-ღონეს არ დაზოგავენ მოსავლიანობის გადიდებისათვის და სახელმწიფო რესურსებს უხვად შემატებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს.

საწარმოო ძალების განვითარებისა და წარმოებითი ურთიერთობის დახვეწის დინამიკური პროცესი, რომელიც დღეს ჩვენთან სოფლად მიმდინარეობს, ღრმა მეცნიერულ შესწავლასა და თეორიულ განზოგადებას მოითხოვს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლები, უპირველესად აგრარიკოს-მარქსისტები, მოვალენი არიან გამოიკვლიონ მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და მოვლენები, განაზოგადონ შეძენილი გამოცდილება და მისცენ კონკრეტული რეკომენდაციები პრაქტიკოსებს სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის და აგროსამრეწველო კომპლექსების მოსაწყობად ყოველი მოცემული დარგის მიხედვით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმზე სამართლიანი უმაყოფილება გამოითქვა ჩვენი ეკონომისტი მეცნიერების, ფილოსოფოსების. ისტორიკოსებისა და სოციოლოგების მიმართ, რომელთაც ჯერ არ დაუწყიათ სოფლად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი მათგან ანონიერად მოითხოვს აღნიშნულ პრობლემებზე ფუნდამენტურ ნამუშევრებსა და მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს. ამიტომ უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოებათმცოდნეები აქტიურად გამოეხმაურებიან პარტიის ამ მოწოდებას.

რ. წულუკიძე,
ა. ხ. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე.

395 ათასი ტონა ხილისათვის

თითოეული დღე გადამწყვეტია

სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

ამინდის პროგნოზი მეხილეობის რაიონებს სექტემბრის მეორე ნახევარში დაბალ ტემპერატურას, წვიმებსა და ზოგან სეტყვას ჰპირდება. ეს გარემოება აქაურ მებაღეებს ერთხელ კიდევ შეახსენებს, რომ შემოდგომის თითოეული დღე გადამწყვეტია.

კურკოვანი ხილის დამზადების ვადა იწურება და სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებული 74.930 ტონის ნაცვლად მხოლოდ 48.872 ტონა მიეყიდა — გეგმის 53 პროცენტი.

ამ საქმეში ძალზე ჩამორჩენილნ ლაგოდეხის, ბოლნისის, თელავის, მარნეულის, დუშეთისა და სხვა რაიონები, რომლებსაც, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი მონაცემებით, 20 პროცენტითაც კი არა აქვთ შესრულებული კურკოვანი ხილის დამზადების გეგმა. ამ სახის ხილის დამზადებაში სახარბიელოდ არ გამოიჩეკრებიან **ხაშურის, კასპის, მცხეთის, ცაგერის, ორკონაკიძის, სამტრედიის რაიონები და აჭარის და აფხაზეთის** ასს რესპუბლიკები.

ეს რაიონები გეგმების შეუსრულებლობის მიზეზად მხოლოდ უამინდობას ვერ დაასახელებენ, ვინაიდან მათმა მეზობლებმა (ზუგდიდი, აბაშა, ცხალაია, გეგეჭკორი, ონი, წყალტუბო და სხვ.) დღეისათვის უკვე მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულეს კურკოვანი ხილის დამზადების გეგმები.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩამორჩენილ რაიონებში დაბალ დონეზე ხორციელდება ხილის ბაღების მოვლა-პატრონობის აგროტექნიკა. ზოგჯერ კი საერთოდ უგულებელყოფენ მცენარეთა და ხილადების დაცვის ნაკლად საშუალებებს. მაგალითად, ლაგოდეხის, თელავის, მარნეულის, ბოლნისისა და სხვა რაიონებში ატმის ბაღებში „ცისფერი წყლობა“ არ განხორციელდა, რამაც ამ ძვირფასი კულტურის ფოთლის სახუპეჭის მასობრივი დაავადება და მოფესვლიანობა გამოიწვია.

თელავისა ხილი რესპუბლიკაში დამზადებულია 33.040 ტონა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 315.010 ტონისა. ამ ორ მაჩვენებელს შორის დიდი კონტრასტი და დამზადების დაბალი ტემპი ჯერჯერობით ნაყოფის ტექნიკური სიმწიფის დაგვიანებით აიხსნება, მაგრამ აქვე ზაზი უნდა გაესვას იმას, რომ შებალიებს გეგმა-გალდებულებების შესრულებისათვის, თითოეული კილოგრამი ხილის გადარჩენისათვის მიტან დაბალული ბრძოლა მოუწევთ. ეს განსაკუთრებით ეხებათ **ხაშურის, კასპის და ქარელის** რაიონებს, **სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს,** სადაც ბაღების მოფესვლობის გამო შეზღუდულია თესლოვანი ხილის რესურსები. ამ რაიონებში, რატომღაც, შეეგუნენ იმ გარემოებას, რომ ცალკეულ მეურნეობებში წლების მანძილზე ჰექტარზე საშუალოდ 25-30 ცენტნერ მოსავალს ღებულობენ. ეს მაშინ, როცა მათი ბაღების საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 100 ცენტნერს ონდა აჭარბებდეს. მცირე მოსავლიანობას მიზეზი აქაც მოერინავე გამოცდილების გამოყენებისადმი გულგრილობაა.

მეხილეებს მოსავლის აღებადაბინავების საქმეს ისიც ურთულებს, რომ ხილის კრეფის პარალელურად მუშაული დასაქმებული ექნება ბოსტანსა და ბარხლის ნათესებში. ამიტომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანებმა თითოეული ეს პასუხსაგები სამუშაო ისე ორგანიზებულად უნდა მოაწყონ, რომ არც ერთი დარგი არ დაზარალდეს. არ უნდა განმეორდეს ისეთი შემთხვევები, როცა ავტომანქანა ღღეში მხოლოდ ერთ რეისს აკეთებს ბარხნებში ხილისა თუ ბარხლის მოღებაში არსებული შეფერხებების გამო.

ახლა, როცა რესპუბლიკის მეხილეებს რთულ ბუნებრივ პირობებში უნდებათ გეგმა-ვალდებულებების შესრულება საფეხურ ბრძოლა, კვლავ მნიშვნელოვან ამოცანად რჩება დასავლეთ საქართველოს რაიონებში **კაიფერის ჯიშის მსხლის დიდი რეზერვების მაქსიმალური გამოყენება.** ეს რეზერვი ძირითადად საკარიდამო ნაკვეთებშია თავმოყრილი, რაც აძნელებს დამზადების ორგანიზაციას.

საჭიროა მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, გეგეჭკორის და სხვა რაიონების სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოებმა ოპერატიულად ღონისძიებები გაახორციელონ იმისათვის, რომ მოსახლეობამ სახელმწიფოს ორგანიზებულად, შეუფერხებლად მიჰყიდოს თავისი ბარი მოსავალი. კაიფერის ჯიშის მსხლის დამზადების საქმე საშორეა იმიტომაც, რომ ამ მალფუჭადი პროდუქტის რეზერვი რამდენიმე ღღეში ხელიდან წაგვიდეს, მით უმეტეს, რომ ამ ღღეებში ქარმა ხეებს დიდი რაოდენობით ნაყოფი დაუყრეინა.

კახეთის რაიონები, აქაოდა, მევენახეობის მიმართულებისა გარეთ, ხილის წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულებას სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან. წლეულს მათ რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს ხილის დამზადების ისეთი საგარაუდო მაჩვენებლები წარმოუდგინეს, რომლებიც გეგმაზე ათასობით ტონით ნაკლებია. სინამდვილეში კი კახეთში ხილის მეტი რეზერვია, რაც მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ.

მეხილეებს მოსავლის აღებადაბინავებაში მეტი დახმარება უნდა გაიწიონ **„საქკონსერვრეკტის“,** „გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და რაიონგზის მუშაკებმა.

სწორედ ამისათვის, დარგთა შრომითი თანამეგობრობის განვითარებისათვის მოგვიწოდებს ინამპოლითა თაოსნობა, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობისა და მრეწველობაში წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

ი. ანანიაშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეხილეობის მთავარი სამმართველოს უფროსი;
ვ. კასრაძე,
„კომუნისტის“ კორ.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 13 სექტემბრის ბრძანებულებით რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკები:

ბიჩინაშვილი თედო მიხეილის ძე — თიანეთის სატყეო მეურნეობის ტრაქტორისტი, **დატოვი** მიხეილ გიორგის ძე — წალკის სატყეო მეურნეობის დირექტორი, **ჯორაია** ნიკანდრო მიქელას ძე — გალის სატყეო მეურნეობის ოქუმის სატყეოს უფროსის თანაშემწე, **მარკოზაშვილი** ირაკლი მიხეილის ძე — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყის დაცვის საშმართველოს უფროსი.

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 13 სექტემბრის ბრძანებულებით რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის საპატიო წოდება მიენიჭათ. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკებს:

ახრახაძეს დიანოზ დავითის ძეს — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მთავარ მეტყევეს, **გამცემლიძეს** ოთარ კონსტანტინეს ძეს — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყის აღდგენითი და დაცვითი ტყის გაშენების სამმართველოს უფროსს, **თიბილაშვილს** ალექსი იოსების ძეს — ჯავის სატყეო მეურნეობის როკის სატყეოს უფროსს, **პროკოპენკოს** თამარ თეოფანეს ასულს — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს მთავარ ინჟინერს, **ულენტს** სერგო ქამილის ძეს — ქედის სატყეო მეურნეობის დირექტორს, **შარტავას** ხარლამპი ზოსიმეს ძეს — გაგრის სატყეო მეურნეობის განთიადის სატყეოს უფროსს, **შაშიაშვილს** გიორგი დიმიტრის ძეს — ახმეტის სატყეო მეურნეობის მთავარ მეტყევეს, **ციმაკურიძეს** ვლასი ეიმენის ძეს — ამიერკავკასიის ტყის მოწყობის საწარმოს „ტყეპროექტის“ პარტიის უფროსს, **ჯაფარიძეს** გერონტი სილოვანის ძეს — მესტიის სატყეო მეურნეობის მთავარ მეტყევეს, **ჯაფს** გიორგი მანუელის ძეს — ჩოხატაურის სატყეო მეურნეობის დირექტორს, **ხარიკოვს** გერასიმ გარეგინის ძეს — ონამაჩირის სატყეო მეურნეობის მთავარ მეტყევეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ა. კარანაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდ

საერთაშორისო სლოვაკეთი

სსრ კავშირის წარმომადგენლობის ნოტა

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი. (საკადესი). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს ნოტა გაუგზავნა იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის ნეერთებულ შტატებში მზადდება ახალი კანონი, რომელიც აერეგულირებს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე უცხოელთა სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლობების. მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმომადგენლობების იმუნიტეტებსა და პრივილეგიებს. ნოტაში აღნიშნულია, რომ ახალი კანონის მიღებას შეიძლება მოჰყვეს ამ იმუნიტეტებისა და პრივილეგიების სერიოზული შეზღუდვა.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს, ნათქვამია ნოტაში, დებულებები, რომლებიც, ჩვენი აზრით არ შეესაბამება ვალდებულებებს, შეერთებულმა შტატებმა რომ იკისრა 1961 წლის ვენის დიპლომატიური ურთიერთობის კონვენციის მიხედვით, აგრეთვე ეწინააღმდეგება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს და დიპლომატიური იმუნიტეტებითა და პრივილეგიებით აღჭურვილ პირთა მიმართ საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

კონკრეტულად საქმე. უწინარეს ყოვლისა. ეხება სასამართლო გარჩევის ახალი წესის შემოღებას იმ პირთა მიმართ, ვისაც დიპლომატიური იმუნიტეტები და პრივილეგიები აქვს. საერთაშორისო პრაქტიკის თვალსაზრისით უკრეცენდენტია ის დებულება. რომ წარმომადგენლობათა თანამშრომლებმა ამერიკის სასამართლოებს უნდა მიმართონ თავიანთი დიპლომატიური იმუნიტეტებისა და პრივილეგიების დასადასტურებლად. აგრეთვე ადგილმბრივი სასამართლოებისათვის უფლების მინიჭება, გამოიტანონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, აქვს თუ არა დიპლომატიური წარმომადგენლობის კონკრეტულ თანამშრომელს შესაბამისი იმუნიტეტები და პრივილეგიები.

ასეთ დებულებათა გამოყენებას შეიძლება სეროზული უთანხმოებანი მოჰყვენებას დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და ადგილსამყოფელი ქვეყნის ხელისუფალთა ურთიერთობაში და, მაშასადამე, შესაბამისი სახელმწიფოების ურთიერთობაშიც.

ანალოგიური ნოტა გაეგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადგილსამყოფელ ქვეყანასთან — შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის კომიტეტის, იმ დაწესებულების თავმჯდომარეს, რომელსაც ევალება უზრუნველყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლობისა და პერსონალის უშიშროება.

ზეიმი ეთიოპიაში

ადის-აბება, 13 სექტემბერი. (საკადესი). ეთიოპიაში გრძელდება ფეოდალურ-მონარქისტული რეჟიმის დამხობის მეოთხე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმობა. დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე — რევოლუციის მოედანზე, რომელიც სოციალისტური ეთიოპიის, საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშებით, მარქსის, ენგელსისა და ლენინის პორტრეტებით, რევოლუციური ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით იყო მორთული, გაიმართა ეროვნული არმიის სამხედრო პარადი.

პარადის გახსნისას ეთიოპიის თავდაცვის მინისტრი ბრიგადის გენერალი ტაიე ტელახუნი გულოთადად მიესალმა ცენტრალურ ტრიბუნაზე მყოფ საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობას კანდიდატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის მეთაურობით და კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ფიდელ კასტრო რუსს. მინისტრმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის მატერიალურ დახმარებას და ეთიოპიის არმიის ეროვნული კადრების ძალების მომზადებას. მან აღნიშნა კუბის რესპუბლიკის დიდი წვლილი ეთიოპიის რევოლუციის გამარჯვებაში.

ზეიმობის მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას ეროვნული სამხედრო დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს და სოციალისტური ეთიოპიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მენგისტუ ჰაილე მარიამმა აღნიშნა, რომ ეთიოპიაში შექმნილია ხალხს არმია, რომელიც მტკიცედ დგას მის რევოლუციურ მონაპოვართა სადარაჯოზე. დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეთიოპ ხალხს და მის არმიას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ კონტრრევოლუციისა და იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ.

მენგისტუ ჰაილე მარიამმა დარბაზობა გამართა ფიდელ კასტრო რუსის პატივსაცემად.

წეუღუბაზე სტუმრებს შორის იყო საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია.

დარბაზობის წინ სპეციალურ ტერიმონიალზე ფიდელ კასტრო რუსს გადაეცა ეთიოპიის უმაღლესი ჯილდო — „სოციალისტური ეთიოპიის საპატიო ორსკვლავი".

ამერიკის შეერთებული შტატები და ირანის ამბები

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. (საკადესი). როგორც ამერიკის პრესის მრავალი ცნობა მოწმობს, ხალხის მღელვარებამ ირანში ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. მათთვის ამ ქვეყანას, როგორც უურნალი „ტაიმი" წერს, უდიდესი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ვაშინგტონში შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის უ. კრისტოფერის მეთაურობით, რომელიც „აანალიზებს" ირანის უკანასკნელ ამბებს, ამას უკავშირებენ არა მარტო იმას, რომ იჩაურამ საშინაო ვითარებამ, როგორც ჟურნალი „ნიუსუიკი" აღნიშნავს, „კრიზისულ სტადიას" მიაღწია, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული გავლენიანი წრეების ცდებსაც, რომ არ დაუშვან ამერიკის პოზიციების შესუსტება ქვეყანაში, რომელიც თეერანს სახლობს ნაკთობით მდიდარი სპარსეთის ყურის „გასაღებად" მიაჩნიათ.

პრესა ძალულებულია აღიარარს, რომ პოლიტიკური ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ირანის უდიდესი სამხედრო ხარჯები. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, წერს ჟურნალი „ტაიმი", ირანის მიერ გაწეულმა ხარჯებმა იარაღის შესაყიდვისათვის 36 მილიარდ დოლარს მიაღწია. ამასთან მათი ნახევარი მოდის ამერიკული იარაღის შესაყიდვაზე.

პარიზი, 13 სექტემბერი. (საკადესი). ეხება რა „ამერიკის შეერთებული შტატების ყოფნას" ირანში, სადაც ამჟამად 50 ათასი ამერიკელი სამხედრო და სამოქალაქო მრჩეველია, ფრანგული გაზეთი „მონდი" წერს: „ისმება კითხვა, თეერანის დემონსტრაციების მონაწილეთა დაღუპვისათვის მძიმე პასუხიმგებლობა ამერიკის პოლიტიკას ხომ არ ეკისრება?".

ე. კენედის პრესკონფერენცია

ვაშინგტონი. (საკადესი). სსრ კავშირიდან დაბრუნებულმა სენატორმა ე. კენედიმ კონგრესში გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ საბჭოთა ქალაქებში სტუმრობის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ასპექტი იყო მშვიდობისადმი მხურვალე მიმართვა, რომელიც ბევრმა საბჭოთა ადამიანმა გამოთქვა. ისინი ხშირად უსვამდნენ ხაზს თავიანთ მეგობრულ გრძნობებს შეერთებული შტატების მიმართ და დიდი მეღელვარებთ ლაპარაკობდნენ 20 მილიონიანი საბჭოთა ადამიანის დაღუპვაზე, რომლებმაც თავი დაჯეს მეორე მსოფლიო ომში, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი მოკავშირეებად გამოდიოდნენ.

შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, განაგრძო სენატორმა, ამჟამად კიდევ უფრო დაძაბული და რთულია, ვიდრე 1974 წელს, ლ. ი. ბრეჟნევთან ჩემი წინა შეხვედრის დროს. ე. კენედი დაწვრილებით შეეხო საუბარს, რომელიც განვლილ ივრაში ჰქონდა ლ. ი. ბრეჟნევთან. სენატორმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელმა, რომელმაც აზრთა გაზიარების დროს მთავარი ყურადღება გამალებული შეიარაღების შეწყვეტის ამოცანას დაუთმო, მტკიცედ დაუჭირა მხარი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ახალ ეტაპად და სამართლიან შეთანხმებას, ბირთვული იარაღის გამოცდის ყოველისმომცველი აკრძალვის თაობაზე უსწრაფესად მორიგებისა და სხვა შეთანხმებების დადებას, რომელთა მიზანი ის არის, რომ ბოლო მოეღოს ბირთვულ და ჩვეულებრივ შეიარაღებას.

თუმცა ამერიკა-საბჭოთა კავშირის დამაკმაყოფილებელი ურთიერთობის დამყარების გზაზე არის აშკარა დაბრკოლებანი. გამალებული შეიარაღების შეწყვეტის იდეას, განაცხადა ე. კენედიმ, ჯ. კარტერის მთავრობასთან ერთად მხარს უჭერს ამერიკელი ხალხის დიდი უმრავლესობაც. ბირთვული ომის თავიდან აცილებას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ორი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ბედისათვის, რომ იგი პოლიტიკურ პრობლემებს არ უნდა უკავშირდებოდეს ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

ამასთან დაკავშირებით სენატორმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ შეიარაღების დარგში გრძელდება მეტოქეობა, და მხარი დაუჭირა „ჩვენი ორი ქვეყნის უფრო კონსტრუქციულ, უფრო ფართო და მტკიცე ურთიერთობის განვითარებას".

ე. კენედი შეეხო ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის გამთიშველ პრობლემებს, აგრეთვე ადამიანის უფლებებისა და ეგრეთწოდებული დისიდენტების თემას, რომელსაც გაძლიერებით ავიცილებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც ცნობილია ამერიკის ხელმძღვანელ წრეებში ბოლო დროს მოდად იქცა ადამიანის უფლებათა „დაცველობის" რგოლში გამოსვლა, როცა საქმე სოციალისტურ ქვეყნებს ეხება, და ამავე დროს სავსებით უგულებელყოფენ ამ უფლებების ნამდვილ და აღმაშფოთებელ დარღვევებს, როგორც თვით შეერთებულ შტატებში, ისე მის მეგობარ და სამეურვეო ქვეყნებში.

დასასრულ ე. კენედიმ თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი უნდა ხედავდნენ, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს კონფრონტაცია. შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს — ერთადერთ ორ ქვეყანას, რომლებსაც მთელი მსოფლიოს მოსპობა შეუძლიათ, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებიდ ამისათვის, რომ შემცირდეს კონფრონტაციის საფრთხე, განმტკიცდეს მშვიდობის საქმე და საძირკველი ჩაეყაროს მომავალში თანამშრომლობის განმტკიცებას".

ᲥᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

1978 წლის 18 აგვისტოდან 14 სექტემბრის ჩათვლით სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებს შეხვედრები ჰქონდათ ჟენევაში იმ მიზნით, რომ განაგრძონ მოლაპარაკება ქიმიური იარაღის აკრძალვის საკითხზე ერთობლივი ინიციატივის შესახებ და შეიტანონ იგი მოლაპარაკების მრავალმხრივ ორგანოში. ერთობლივი ინიციატივის შესახებ ეს ორმხრივი მოლაპარაკება იმ მიზნით მიმღინარეობს, რომ უახლოეს ხანში მიაღწიონ შეთანხმებას მთელი ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და დაგროვების სრული, ეკვეტიანი და კონტროლდაკვემდებარებული აკრძალვის შესახებ, აგრეთვე გაითვალისწინონ არსებული ქიმიური იარაღის მოსპობა.

შეხვედრები სასარგებლო იყო. ამ შეხვედრების დროს გრძელდებოდა პოზიციების შეფასებები მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც საბჭოთა ინიციატივის შეეხება. ნახარევებმა დათქვეს, რომ განაგრძობენ მოლაპარაკებას შეთანხმებულ ვადაში. (საკადესი).

დაგეგმილი ექსპანსია

კაირო, 13 სექტემბერი. (საკადესის კორ.). ისრაელი, რომელიც ცდილობს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგებაზე გაუთავებელი ლაპარაკით შეანელოს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება, ამავე დროს ჯიუტად ამობს უარს თავისი ექსპანსიონისტური კურსის შეცვლაზე. იგი ამპერებს კვლავაც განაგრძოს დაპყრობილ არაბულ ტერიტორიათა ოკუპაცია.

აქ მიღებული ცნობების თანახმად, უკიდურესმა რეაქციულმა ელემენტებმა მოძრაობამ „გუშ-ემუნიმმა" შეიმუშავა მდინარე იორდანის ოკუპირებულ დასავლეთ ნაპირზე კიდევ მილიონი ისრაელის დასახლების გეგმა. იგი ითვალისწინებს ახალი მეტი გასამხედროებული დასახლების, აგრეთვე მთელი რიგი ქალაქების შექმნას, სადაც 20 ათასი ისრაელი იცხოვრება. მოწონების შემდეგ წელსვე დაიწყება პროექტის რეალიზაცია.

ასეთი „პერსპექტიული დაგეგმვა" სავსებით შეესაბამება მმართველი ბლოკის „ლიკუდის" ლიდერთა ზრახვებს, რომლის საპროგრამო დოკუმენტში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მთავრობა ხელს შეიწყობს ახალ დასახლებათა შექმნას.

ᲓᲘᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ

ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

პირფერობა ადამიანის უფლებათა დაცვის ნიღბით

ნიუ-იორკი, ამერიკის პროგრესული საზოგადოებრიობა გადაჭრით მოითხოვს თვალსაჩინო ზანგი აქტივისტის, რასობრივი და პოლიტიკური რეპრესიების წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული საბჭოს აღმასკომის წევრის ჯორჯ მერიტის განთავისუფლებას.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთ, განაცხადა ჯ. მერიტის განთავისუფლებისათვის მოძრაობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პოლ მეირმა, უყვართ „ადამიანის უფლებათა დამცველების" პოზის მიღება. მაგრამ „მერიტის საქმე", ისევე როგორც სხვა ამგვარი „საქმეები", ამხილებენ ვაშინგტონის პირფერობას.

შეიძლება აგრეთვე მოვიყვანოთ სხვა ამერიკელთა გვარები, რომლებიც დილეგებში ჩაყარეს პოლიტიკური მრწამსისათვის. ზანგი პოეტი ჭალი და ისტორიკოსი ასტა შაური ნიუ-ჯერსის შტატში, თანასწორ უფლებიანობისათვის ახალგაზრდა მებრძოლ ზანგთა ჯგუფი მღვდლის ბენ ჩეივისის მეთაურობით ჩრდილოეთ კაროლინაში, ალაბამელ ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის აქტივისტი ჯონ პარისი, ამერიკელ ინდოელთა მოძრაობის ლიდერი რასელ მინსი ჩრდილოეთ დაკოტაში — ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების ადამიანთა არასრული სია, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური მრწამსისათვის იტანჯებიან.

სტოკჰოლმი. შვეიცის საზოგადოებრიობა აღშფოთებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევების გამო, განაცხადა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში შვეიცის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ ს. ლინდჰოლმმა. იმის ნაცვლად. რომ უმუშევრობას ებრძოლოს, ამერიკის ადმინისტრაცია აშენებს საპატიმროებს თავისუფლების დამცველი მებრძოლებისათვის.

ამერიკის ერთ-ერთ საპატიმროში იტანჯება მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლი ჯონ პარისი, თქვა შემდეგ ლინდჰოლმმა. იგი დაუსაბამრეს იმის გამო, რომ აქტიურად საქმიანობდა შეერთებული შტატების ზანგი მოსახლეობის უფლებების დაცვისათვის. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით ამერიკის ხელისუფალნი იძულებული იყვნენ გადადგოთ სიკვდილის განაჩენის აღსრულება, მაგრამ მისი სიცოცხლისათვის ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ადამიანის უფლებებისათვის ამ მებრძოლის განთავისუფლებას.

ბონი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აღინიშნება დემოკრატიული მრწამსისათვის პოლიტიკური დისკრიმინაციის ახალ-ახალი შემთხვევები.

უბადალებულ „პროფესიის აკრძალვის" მსხვერპლთა შორის არის უ. ჰერგენრიდერი ჰამბურგის ტექნოლოგიისა და მათემატიკის 42 წლის მასწავლებელი. იგი დაითხოვეს მას შემდეგ, რაც უარი თქვა უარეყო გერმანელთა კომუნისტური პარტიის პროგრამა, აღნიშნავს პრესა.

მიუნხენში სახელმწიფო სამსახურში მიღებაზე უარი უთხრეს კ. აიზენგერს. ამის მიზეზია გერმანელთა კომუნისტური პარტიის წევრობა.

ასეთივე ბედი ეწია მეორე მიუნხენელ მასწავლებელს ზ. ჰელერბერგერს, რომელიც „კონსტიტუციის მოწინააღმდეგედ" გამოაცხადეს დემოკრატიული „სტუდენტური ორგანიზაციის" უმაღლეს სასწავლებელთა სოციალისტური კავშირის წევრობის გამო.

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ მიერ შეკოწიწებული ბრალდებით საპყრობილეშია „უილმინგტონის ათეული". ამ ჯგუფის ორმა ტყვემ ჟ. რაიტმა და უ. ვერინმა, რომლებიც ახლახან თავდებით გამოუშვეს ჩრდილოეთ კაროლინის სასჯელმოსრულ ჯურღმულებიდან, თქვეს, თუ რა სამინელ პირობებში ჰყავთ ამერიკელი პოლიტიკური პატიმრები, როგორ ამუჩად იგდებენ მათ, რა მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია „უილმინგტონის ათეულის" ლიდერი ბენ ჩეივისი, რომელსაც ახლა მხოლოდ ინვალიდის ეტლით შეუძლია სიარული. სურათზე: ბ. ჩეივისი (მარჯვნივ) სასამართლო დარბაზში.

ᲐᲓᲜ-ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡ ფოტო.

ᲜᲘᲙᲐᲠᲐᲒᲣᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲬᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ

 სან-ხოსე, 13 სექტემბერი. (საკადესი). ნიკარაგუელი დიქტატორის სომოსას შეიარაღებულმა ძალებმა დაარღვიეს კოსტა-რიკის სახელმწიფო საზღვარი და შეიჭრნენ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამავე ღროს დაბომბეს რამდენიმე სასაზღვრო რაიონი. კოსტა-რიკის წითელი ჯვრის წარმომადგენლის ცნობით, ამ ბარბაროსული თავდასხმის შედეგად სულ ცოტა 20 კაცი დაიღუპა.

ნიკარაგუის შეიარაღებულმა პროვოკაციამ, რომელიც სახდონის სახელობის ეროვნული გაზთავისუფლების ფრონტის პარტიზანთა დევნის საბაბით მოაწყვეს, აღშფოთება გამოიწვია კოსტა-რიკაში. შეერის რაიონს ეწვია რესპუბლიკის პრეზიდენტი რ. კარაიო, რომელმაც გაანცხადა, რომ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას თავისი ეროვნული სუვერენიტეტი. კოსტა-რიკის მთავრობამ მტკიცე პროტესტი გაუგზავნა სომოსას და მოუწოდა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას, სასწრაფოდ განიხილოს ეს ინციდენტი.

ვაშინგტონი, 13 სექტემბერი. (საკადესი). აქ გაიმართა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მუდმივი საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზეც კოსტა-რიკის წარმომადგენელმა გააცხადა, რომ ნიკარაგუის სამხედრო თვითმფრინავების შემოჭრისა და თავდასხმის შედეგად დაიგრა კოსტა-რიკის რამდენიმე სოფელი, ორიან დახოცილნი და დაჭრილნი. ნიკარაგუის მხედრიონის ვერაგული აქტი საფრთხეს უქმნის ამ რაიონის მშვიდობას, თქვა მან.

სომოსას შეიარაღებული პროვოკაცია გულისწყრომით დაგმეს ვენესუელამ, მექსიკამ, კოლუმბიამ, ბარბადოსმა, ბაჰამიამ და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრმა ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ.

ამ დროს, როცა დელეგატთა ნიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალი 33-ე სესიის დღის წესრიგში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გამოთქვა რწმენა, რომ ამ ავტორიტეტული და წარმომადგენლობითი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფო უფრადღებით და გულდასმით შეიისწავლის ახალ საბჭოთა ინიციატივას.

ინდოეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რ. ჯაიპალმა საბჭოთა წინადადებას უწოდა „უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საშვეიდობო ინიციატივა, რომელიც მისასალმებელია როგორც გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის ერსებითი წესილი".

„დარწმუნებული ვართ, — თქვა მან, რომ საბჭოთა ინიციატივას დადებითად გამოეხმაურება ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო. ეჭვი არ არის, რომ იგი კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის გაფართოებისა და გაღრმავების გზაზე".

დაამტკიცეს დელეგაციები

იმასთან დაკავშირებით, რომ 12 სექტემბერს — უკრაინის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXIII სესიის [illegible] საქმეთა მინისტრთა [illegible] დელეგაცია სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით.

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა უკრაინის სსრ დელეგაცია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის გ. გ. შეველის მეთაურობით.

ბელორუსის სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ბელორუსიის სსრ დელეგაცია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ე. გურინოვიჩის მეთაურობით. (საკადესი).

სოლიდარობა ჩილეს ხალხს

ჰაბანა. 4 ათასზე მეტმა პოლანდიელმა მიიღო მონაწილეობა ჩილეს სამხედრო ხუნტის რეპრესიების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო დემონსტრაციაში. იგი გაიმართა ამსტერდამში ჩილეს ახარდამჩერი ნიდერლანდის კომიტეტისა და პოლანდიის მთელი რიგი პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების ინიციატივით. მანიფესტაციის მონაწილეებმა პატივი მიაგეს ჩილეში ხუთი წლის წინათ ამბოხების დროს დაღუპულ პრეზიდენტ სალვადორ ალიენდესა და ასობით „უგზოდ დაკარგულად" ჩილელებს ხსოვნას. (საკადესი).

ᲐᲐᲛᲦᲕᲘᲪᲔᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘ

უტიფარი პრეტენზიები

ჰანოი, 13 სექტემბერი. (საკადესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგანგებო ოფუწყება, ვიეტნამმა უარყო პეკინის ცილისწამებლური მონაჭორი, თითქოს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა „დეგნის, დისკრიმინაციასა და ტეროროს უწევს და ერეკება ჩინელ ემიგრანტებს".

სინამდვილე კი ცხადყოფს, რომ ვიეტნამის კოოპერატიული პარტია და მთავრობა სწორ პოლიტიკას ადგანან ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში მცხოვრებ ჩინური ეროვნების პირთა მიმართ, განაცხადა ვიეტნამ-ჩინეთის მოლაპარაკებებ მეექვსე სხდომაზე ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჰოანგ ბით შონმა.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა კატეგორიულად უარყო ჩინეთის მხარის უტიფარი პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ ვიეტნამმა „უნდა დაბრუნოს ის პირნი, რომლებიც ჩინეთში გაემგზავრნენ".

ჰანოი, 13 სექტემბერი. (საკადესი). ვიეტნამის საინფორმაციო საგანგებო ოფუწყება, რომ უკანასკნელ ხანს ჩინეთი რამდენჯერმე შეიჭრა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში, სერიოზული ზარალი მიაყენა ვიეტნამელ მებადურებს და იმუქრებოდა მათს ნორმალურ ხაჭრიანობას. 12 სექტემბერს დილით ჩინეთის ორი შეიარაღებული გემი შეიჭრა ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში კუნგნინის პროვინციის მონგკაის რაიონის სანაპიროსთან.

ჩინეთის მხარის ახალი პროვოკაციამ მოსახლეობის აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. ქალაქ მონგკაში გამართული საპროტესტო მიტინგის მონაწილეებმა, რომელთა შორის იყვნენ ეთნიკური ჩინელებიც, მტკიცედ მოითხოვეს, შეწყდეს პროვოკაციები ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ᲒᲐᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲐᲨᲣᲨᲘ

ბერლინი. (საკადესი). ბერლინის უმაღლესი სასამართლოს საბჭოდრო კოლეგიამ დასაფლეთ ბერლინის მცხოვრებს ვ. ვალტერშაიდს მიუსაჯა 13 წლის პატიმრობა ჯაშუშობისათვის, აგრეთვე დანაშაულისათვის, რომელიც დაკავშირებულია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ტრანზიტული მიმოსვლის შეთანხმების დარღვევასთან. ადამის საგენტო ოფუწყება, რომ ვ. ვალტერშაიდი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ეწეოდა სისტემურ ჯაშუშობას იმპერიალისტური საგაზვერვო სამსახურის დავალებით.

ᲜᲐᲛᲡᲮᲕᲠᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲪᲕᲘᲕᲓᲔᲑᲐ

„პეგას-1" არსებობას წყვეტს

ვაშინგტონი, 13 სექტემბერი. (საკადესი). ამერიკის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „პეგას-1-ის ნამსხვრევები უახლოეს დღეებში შეიძლება დედამიწაზე ჩამოცვივდეს. ამას ოფუწყება აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო.

სამმართველოს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ თანამგზავრი და „სატურნ-1" მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხური, რომელსაც იგი ერთ ჩამოსცილდა, ერთად იწონიან დაახლოებით 10 ტონას.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ თანამგზავრისა და რაკეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ატმოსფეროში დაიწვება, მაგრამ ზოგი ნამსხვრევი შეიძლება ჩამოცვივდეს ვრცელ ზონაში — ეკვატორის ჩრდილოეთით და სამხრეთით — 31 გრადუსზე. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის სამმართველოს აზრით, ნამსხვრევები მიმოფანტება 200 კილომეტრი სიგანისა და 3500 კილომეტრი სიგრძის ზოლზე. როგორც ასოციეიტედ პრესის საგენტო ოფუწყება, „პეგას-1"-ის ორბიტა გადის დასავლეთი ნახევარსფეროს ცენტრალური ოლქების, აფრიკის, ინდოეთისა და ავსტრალიის თავზე.

დიდი სტარტების მოლოდინში



დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დაიწყება ჩვენი რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთათვის დიდი ხნის ნანატრი შეჯიბრება — სსრ კავშირის მძლეოსანთა მორიგი ჩემპიონატი. „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სპორტკომიტეტის მძლეოსნობის განყოფილების უფროსს, სპორტის ოსტატ ა. ბედუაძეს და სთხოვა მას ეამბნა, როგორ გამართება ტურნირი, ვის იხილავენ თბილისელი მძლეოსნობის მოყვარულები, როგორი შედეგებია მოსალოდნელი...

— ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გამართული უკანასკნელი ასეთი შეჯიბრების შემდეგ 17 წელი გავდა. ეს ცოტა დრო როდია. მაგრამ იმის მიზეზი, რომ აქამდე ასეთი დიდი ტურნირი თბილისში არ მოწყობილა, ჩვენგე ვართ — შესაფერი ბაზა არ გვქონდა. წლეულს ეს ნაკლი საფუძველიანად გამოსწორდა — თბილისის „დინამოს“ სტადიონი სსრ კავშირში ერთ-ერთ საუკეთესო ბაზად გადაიქცა. ორიოდე თვის წინ „პრავდის“ პრიზებზე დიდ საერთაშორისო ტურნირს ვუმასპინძლეთ, ახლა კი ჩვენს დედაქალაქში ქვეყნის ჩემპიონების ოქროს მედლები უნდა გათამაშდეს.

თბილისში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვის, ლენინგრადის, აგრეთვე სტავროპოლის, კრასნოდარის მხარეების, მოსკოვის, როსტოვის, ჩელიაბინსკისა და სვერდლოვსკის ოლქების საუკეთესო ათლეტები ჩამოვიდნენ. „დინამოს“ სტადიონზე მოსულ გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ იხილონ სსრ კავშირის საუკეთესო მძლეოსნების ოსტატობა.

რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ ინტერესს, 3 სექტემბერს პრაღაში დამთავრებული ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებული საბჭოთა ნაკრების წევრების გამოსვლა იწვევს და ეს კანონზომიერია. მათ ხომ იქ გაცილებით მეტი მედლები მოაგროვეს, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნის სპორტსმენებმა და კონტინენტზე უძლიერესი მძლეოსნური ქვეყნის სახელი დაიბრუნეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როცა მოსკოვის XXII ოლიმპიადისათვის სამზადისში ვართ.

თბილისში ევროპის ყველა საბჭოთა ჩემპიონსა და პრიზიორს მოველით, რომლებსაც უფლებელია, ძნელი ბრძოლები გადახდებათ თავს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად საქართველოს ათლეტთა ბედი გვაწუხებს. ჩვენს გულშიც არიან ისეთი მძლეოსნები, რომლებმაც დირსეული მეტოქეობა უნდა გასწიონ პირველობისათვის ბრძოლაში. ვ. სანეევის, ს. გუმბას, ნ. ლაბაძის, ჯ. ფხაკაძისა და სხვებისგან ახალ წარმატებებს ველოდებით. მათ და ჩვენი რესპუბლიკის სხვა მძლეოსნებმა უნდა დამტკიცონ, რომ საკავშირო ნაკრები მალე მათი რიგებიდანაც მიიღებს ახალ შევსებას.

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი იღონეს კარგი მასპინძლობისათვის, რამაც, თავის მხრივ, გარკვეული როლი უნდა შეასრულოს ახალი რეკორდების დამყარებაში.

თბილისელი სპორტის მოყვარულები უდავოდ კმაყოფილი დარჩებიან ამით, რასაც „დინამოს“ სტადიონზე ოთხი დღის განმავლობაში ნახავენ.

ჩემპიონატის აფიშა

15 სექტემბერი

10.00 — 110 მ. თარჯრბენი	გარბენები	ვაჟები
10.00 — ბირთვის კვრა	საკვალიფიკაციო	ქალები
10.10 — სიგრძეზე ხტომა (I ნაკადი)	საკვალიფიკაციო	ქალები
10.25 — 100 მ.	გარბენები	ქალები
10.55 — 100 მ.	გარბენები	ვაჟები
11.00 — შუბის ტყორცნა	საკვალიფიკაციო	ვაჟები
11.20 — სიგრძეზე ხტომა (II ნაკადი)	საკვალიფიკაციო	ქალები
საღამოს პროგრამა		
16.30 — 400 მ. თარჯრბენი	გარბენები	ვაჟები
16.50 — 800 მ.	გარბენები	ვაჟები
17.10 — ბადროს ტყორცნა (I ნაკადი)	საკვალიფიკაციო	ვაჟები
17.10 — სამხტომი (I ნაკადი)	საკვალიფიკაციო	ვაჟები
17.15 — 800 მ.	გარბენები	ქალები
17.35 — 3000 მ.	I ფინალური გარბენი	ქალები
17.50 — 3000 მ.	II ფინალური გარბენი	ქალები
18.05 — 100 მ.	ნახევარფინალები	ქალები
18.10 — ბადროს ტყორცნა (II ნაკადი)	საკვალიფიკაციო	ვაჟები
18.10 — სამხტომი (II ნაკადი)	საკვალიფიკაციო	ვაჟები
18.15 — 100 მ.	ნახევარფინალები	ვაჟები
18.25 — 400 მ.	გარბენები	ქალები
18.45 — 400 მ.	გარბენები	ვაჟები
19.00 — ჩემპიონატის საზეიმო გახსნა		
19.30 — 10000 მ.	ფინალი	ვაჟები
20.10 — 100 მ.	ფინალი	ქალები
20.15 — 100 მ.	ფინალი	ვაჟები
20.20 — 1500 მ.	გარბენები	ვაჟები
20.45 — 3000 მ. წინაღობებით	გარბენები	ვაჟები

მონაწილენი, მედლები, ნორმატივები

თბილისში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში მძლეოსნები მედლების 40 კომპლექტს გაითამაშებენ. აქედან ვაჟებისათვის განკუთვნილია 23 კომპლექტი, ხოლო ქალებისათვის — 17. მედლებისათვის ბრძოლაში ჩაებმება ჩვენი ქვეყნის 1.200-ზე მეტი სპორტსმენი.

და კიდევ ერთი. საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთათვის დაწესებულია საკმაოდ მაღალი საკვალიფიკაციო ნორმატივები. მაგალითად, სიმაღლეზე მხტომელი ვაჟებისათვის საკვალიფიკაციო ნორმატივი 215 სმ, ქალებისათვის — 181, ჯოკით მხტომელებმა ჩათვლა რომ მიიღონ, მათ უფრო ელად უნდა დაძლიონ 515 სანტიმეტრი.

ველით რეკორდებს!

მძლეოსანთა თბილისურ სტარტებს სპორტის ამ სახეობის ჭიმაგები დიდი ინტერესით ელიან. აქ ხომ საბჭოთა მძლეოსნობის უძლიერესი წარმომადგენლები შეიკრიბებიან. მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ საკავშირო ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩატარდეს. მჯერა, რომ თბილისის „დინამოს“ სტადიონის სარბენ ბილიკებსა და სხვა მძლეოსნურ სექტორებზე მრავალი სპორტსმენი საუკეთესო შედეგებით დაამთავრებს შეჯიბრებას. მჯერა ისიც, რომ დამყარებული იქნება არა ერთი რეკორდი.

ვ. სამოტესოვი,
მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატის მთავარი მსაჯი.

გედნიერ სტარტებს გისურვებთ!

მე, როგორც მასპინძელსა და სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონატის მონაწილეს, მსურს ჩვენი სამშობლო საქართველოს დედაქალაქში ჩამოსულ თანამემამულეებს — საბჭოთა ქვეყნის მძლეოსნებს. დაე, დევიზი „სწრაფად, მაღლა, შორს“ სულ თან გვახლდეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ასპარეზობისას. შეჯიბრების ყველა მონაწილეს წარმატებით სტარტებსა და საუკეთესო შედეგებს ვუსურვებ.

ვ. სანეევი,
სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ფეხბურთი

ევროპულ ტურნირებზე

გასული ოთხშაბათს ოთხი საბჭოთა გუნდი ჩაება ევროპულ ტურნირებში.

კიევის დინამოელებმა ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი ტამპერეში მოუგეს ვალეეკოსკის „ბაკას“ ანგარიშით 1:0. გოლი გაიტანა ბალტაჩამ.

თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი **დონეცკის „შახტორმა“ გამართა** ესპანეთში „ბარსელონასთან“ და დამარცხდა ანგარიშით 0:3. ორი გოლი გაიტანა კრანკლმა (პირველი — მატჩის დაწყებიდან 20 წამის შემდეგ), ერთი — სანჩესმა.

უეფას თასის გათამაშების პირველი ოცდამეთორმეტედფინალური მატჩები **თბილისის დინამოელებმა** და **მოსკოვის ტორპედოელებმა** რომ მოიგეს, მკითხველებმა უკვე იციან (შესაბამისად 2:0 და 4:0). დავსძენთ იმას, რომ ტორპედოელთაგან გოლების ავტორები არიან ვასილეევი, მირონოვი, გრიშინი და სუჩილინი.

გთავაზობთ უეფას თასის გათამაშების რამდენიმე შედეგს: „დუკლა“ (პრაღა)-„ლანეროსი“ (ვიჩენცა, იტალია) — 1:0; „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ)-„შტურმი“ (გრაცი, ავსტრია) — 5:1; „ატლეტიკი“ (ბილბაო, ესპანეთი)-„აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) — 2:0; „ნანტი“ (საფრანგეთი)-„ბენფიკა“ (პორტუგალია) — 0:2, „დინამო“ (ბერლინი, გდრ)-„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) 5:2; „ბაბელი“ (შვეიცარია)-„შტუტგარტი“ (გფრ) — 2:3.

ვოლეიბოლი

ევროპის ჩემპიონატი

ბულგარეთი, 13 სექტემბერი. (საკუთარი). **ბულგარეთის ეროვნული ნაკრების** ოთხ მატჩს, **ბულგარეთ-ბელგია, ბულგარეთ-ესპანეთი, ბულგარეთ-ბრაზილია** და **ბულგარეთ-ბელორუსია** ბულგარეთის ეროვნული ნაკრები ბელგიელ, ესპანელ, ბრაზილიელ და ბელორუსელ ოსტატებთან ერთად ბულგარეთში ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებოდა. ბულგარეთ-ბელგიის ოთხ ოლიმპიურ ჩემპიონს, ბ. ბეროვს, ბ. ბეროვს, ბ. ბეროვს, ბ. ბეროვს, ბ. ბეროვს, ბ. ბეროვს, ბ. ბეროვს, ბ. ბეროვს, ბ. ბეროვს, ბ. ბეროვს, ბ. ბეროვს, ბ. ბეროვს, ბ. ბეროვ

... ...

... ...

... ...